საქართველოს მთავრობის

განკარგულება №813

2024 წლის 4 ივნისი

ქ. თბილისი

„საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1757 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ

1. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 და მე-6 მუხლებისა და „ფულის გათეთრებისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის შესაბამისად, „საქართველოში ფულის გათეთრების და ტერორიზმის დაფინანსების რისკების შეფასების ანგარიშის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2023 წლის 3 ოქტომბრის №1757 განკარგულებაში შეტანილ იქნეს ცვლილება და განკარგულებას დანართად დაემატოს ამ განკარგულებაზე თანდართული „რისკების შეფასების განახლება“.

2. განკარგულება ძალაშია 2024 წლის 3 ივნისიდან.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**